# ოქტომბრელი

137
1930

## № 4



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

1930 აპრილი

საქართველოს ა. კ. ლ. ცენტრალური და ტფ. მაზ-როების და გან. სახ. კომისარ. სოც. აღზრ. მთავარმმართველობის ჟურნალი მცირეწლოვან ბავშვთათვის

წელიწადი № 4

## შინაარსი

1. **ხამრეწველო-ფინანსიური გეგმა**—მ. მაისლერის . . . . . 1
2. **გლეხები და კოლმეურნეები**—მუსიკალური ინსცენირობა, გადმოკეთებული მარიკა მიქელაძის მიერ. მუსიკა პ. ფალიაშვილის . . . . . 9
3. **პატარა სანდრო,**—თარგ. ნოეშვილის . . . . . 19
4. **მწყემსი ილა,**—ლექსი მ. შაველაშვილის . . . . . 22
5. **ფუნიკულიორი,**—ზღვისპირელის . . . . . 23
6. **სასწრაფო დახმარება**—ე. ა—ს. . . . . . 28
7. **სხვადასხვა ამბავი** . . . . . 30
8. **კოლექტივი,**—ლექსი ხარშილაძის . . . . . 32
9. **ჩვენი მკითხველების წერილები**—გარეკანზე.

# ჩვენი მკითხველების წერილები

## მარტვილის ოთხწლედის მეორე ჯგუფის მოსწავლეებს

**სალამი, ძვირფასო მეგობრებო!**

ჩვენს ჯგუფში 37 მოსწავლე ირიცხება: 21 ვაჟი და 16 ქალი.

ჩვენ ვაკვირდებოდით თოვლის და ყინულის დნობას. სკოლაში საუბარი გვაქვს გაზაფხულზე: კვირტების გაშლაზე, წყლების ადიდებაზე, დღის და ღამის ცვალებადობაზე, ფრინველებზე.

გამოვყავით 7 მოსწავლე სისუფთავის დასაცავად, ამოვირჩიეთ 3 მოსწავლე კოოპერატივის მომვლელად.

ჩვენ მე-2 ჯგუფში მოვაწყვეთ წიგნების ასაკინძავი სახელოსნო. სახელოსნოში მუშაობა რიგრიგობითაა, ხუთშაბათობით. გადავწყვიტეთ მე-2 ჯგუფში კედლის გაზეთის გამოშვება.

ჩვენ ხშირად წერილებს ვწერთ ოთხწლედის საერთო კედლის გაზეთში.

გვაინტერესებს თქვენი მუშაობა ჯგუფში. გვაქვს საერთო მელნები, კალმები და კალმისტარები, გვაქვს ფანქარი და რვეული.

მოველით თქვენგან წერილს.

ჩვენი მისამართი: ქალაქი ახალსენაკი, პედტექნიკუმის საცდელი სკოლა, მე-2 ჯგუფის მოსწავლეებს.

იხ. ყდა მე-3 გვერდ.

# სამრეწველო-ფინანსური გეგმა

— რვეულები არის?

— არ არის!

წავიდენ მეორე მაღაზიაში.

იქ კი მაღაზიის გამგეს, ბავშებმა რომ თავი არ მოაბეზრონ, კარებზე თვალსაჩინო ადგილას დაუკიდია:

**რვეულები არ არის,**
**გთხოვთ ნუ შეგვაწუხებთ**

— რატომ არ არის რვეულები?

— რაზე უნდა ვწეროთ?

— რა ამბავია?

საქმე კი აი როგორ იყო:

ფაბრიკა „სვეტოჩ“-ში „დეკაბრისტების კუნძულიდან“ ცალიერი ტვირთმზიდავი ავტომობილები დაბრუნდა. ავტომობილები გაგზავნილი იყო ზინოვიევის სახელობის ფაბრიკაში ქაღალდისათვის.

ზინოვიევის სახელობის ფაბრიკაში კი ქაღალდი არ მისცეს.



ფაბრიკა „სვეტოჩ“-ში სახაზავ. საჭრელ და საკერავ მანქანებს საქმე აღარაფერი აქვთ და გაჩერდენ.

„სვეტოჩი“-დან დაურეკეს პოლიგრაფტრესტს.

პოლიგრაფტრესტიდან — ქაღალდის ტრესტს.

ქაღალდის ტრესტიდან — „ზინოვიევის“ ფაბრიკას.

ერთი დღის შემდეგ „სვეტოჩ“-ის ფაბრიკაში მოიტანეს რამდენიმე კიპი ქაღალდი.

მეტს არ იძლევიან.

## ესტაფეტით რბენა

იცით, რას ჰგავს ეს?

ესტაფეტით რბენას.

გახსოვთ?

ნიშანს რომ მისცემენ: „ერთი, ორი, სამი“, და მირბის პირველი; როდესაც მიირბენს დანიშნულ ადგილას, სადაც მას ამხანაგი უცდის, სწრაფად გადასცემს ჯოხს ამხანაგს. ამხანაგი იმ წამსვე მოსწყდება ადგილს.







როდესაც ესტაფეტს ელოდები, ასე გგონია, რომ ამხანაგი საშინლად ნელა მორბის. ესტაფეტის მონაწილენი მოუთმენლობისაგან ტრიალებენ, ფეხებს აბაკუნებენ და აჩქარებენ მორბენალს.

ყოველ წუთს აქვს მნიშვნელობა. საკმაოა ცოტაოდენი შეყვიანება, - და საქმე წაგებულია, მთელი რაზმი მარცხდება.

შეაგვიანდა ზინოვიევის სახელობის ფაბრიკას.

--ჩქარა! ჩქარა!--ყვირიან ფაბრიკა „სვეტოჩი“-დან.

ესტაფეტი მოვიდა, ქაღალდი მოიტანეს.

— აბა, ჩქარა გადმოტვირთეთ ქაღალდი!—ყვირიან ფაბრიკა „სვეტოჩ“-ში.

ახმაურდა სახაზავი მანქანები. თეთრი ქაღალდის დიდრონ ფურცლებზე იბეჭდება ლურჯი ხაზები. დახაზულ ქაღალდებს სასწრაფოდ ეზიდებიან საჭრელ მანქანაზე. მახვილი დანა დიდრონ ფურცლებს ოთკუთხედებად სჭრის. მერე ისევ ურიკაზე უდებენ და მიაქვთ დასაკეცავ და შესაკერავ განყოფილებაში. იქ უკვე დაუმზადებიათ რვეულებისა და გარეკანისთვის ლურჯი სვეტები, რომლებიც საბეჭდავი ცეხიდან მოიტანეს.

გრძელ მაგიდასთან სხედან დამკეცავი ქა-



ლები და სთვლიანრვა-რვა ფურცელს, სდებენ გარეკანში და ჰკეცავენ შუაზე.

ხელში ყველას თეთრი ძვალი უჭირავს, რომლითაც აუთოებენ გაკეცილ ფურცლებს. იქვე გვერდით, საკერავ განყოფილებაში, კაკა-კუკი გააქვს მანქანებს. მანქანაზე ძაფის მაგიერ კოჭებზე პრიალა მავთულია დახვეული. ორჯერ დაჰკრავს მანქანა,—რვეული მზად არის, შეკერილია.

ტვირთის ავტომობილს მიაქვს რვეულები მაღაზიებში. კარზე გაკრული განცხადება ქრება.

რვეული შემდგომ მოსწავლეს უვარდება ხელში.

## შავი დაფა

ესტაფეტი ჩაშალა ზინოვიევის სახელობის ქარხანამ და ამისათვის ის შავ დაფაზე გამოაკრეს.

პირველ მეოთხედში, რომელიც დაიწყო 1 ოქტომბრიდან და გათავდა 1 იანვარს, ზინოვიევის სახელობის ფაბრიკამ მიიღო „არადამაკმაყოფილებელი". „ზინოვიევის" ფაბრიკის მუშებმა ვერ შეასრულეს თავისი გეგმა. ამ მეოთხედში, ანუ, როგორც ფაბრიკაში ეძახიან, პირველ კვარტალში, მუშებმა წლის გეგმის მიხედვით 25% მაგიერ 20% დაიმუშავეს.

„სვეტოჩ"-ისა და ზინოვიევის სახელობის ფაბრიკებში არის პიონერების ბაზები.

პიონერებმა არ იცოდენ, რომ მათმა მშობლებმა—მუშებმა—ვერ შეასრულეს სამრეწ.-ფინანსიური გეგმა. ზინოვიევის სახელობის ფაბრიკის ბავშების კედლის გაზეთში სიტყვაც კი არ იყო იმის შესახებ, რომ ფაბრიკაში ბევრი მუშა დაუდევრობის გამო არ ცხადდებოდა სამუშაოდ და კიდევ უფრო მეტი საქონელი უხეიროდ იყო გაკეთებული და გაფუჭებული.

1 ოქტომბერს დაიწყო ხუთწლიანი გეგმის მეორე წელიწადი.

ყოველმა ფაბრიკამ, ყოველმა ქარხანამ შეადგინა თავისი გეგმა ხუთწლიანი გეგმის მეორე წლისათვის. ამნაირ გეგმას ჰქვიან სამრეწველო-ფინანსიური გეგმა.

იანვარში აღმოჩნდა, რომ ბევრმა ქარხანამ არ შეასრულა თავისი გეგმა პირველ კვარტალში.

მეოთხედი წლის განმავლობაში უნდა გაეკეთებინათ მეოთხედი ნაწილი იმის, რის გაკეთებაც მთელი წლის განმავლობაში ჰქონდათ განზრახული.

ერთი ალიაქოთი ატყდა. გაზეთებში გამოაცხადეს წითელი და შავი დაფები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წითელი დაფა**

ქარხანა სვეტლანა
ქარხანა კარლ მარქსის
ქარხანა მაქს გელცის
ნევის ნავთსაშენი ქარხანა
ლენინის სახელობის
ტელეფონის ქარხანა
„კრასნაია ზარია“.

**შავი დაფა**

წითელი ვიბორგელი
ლითონის ქარხანა
მჭიდას ქარხანა—ვოროვსკის სახელობის
ბალტიის ქარხანა
ქარხანა „შრომის დროშა“ № 2 (30% უვარგისია)
ქარხანა „რუსული დიზელი“.

## გაზეთები გაფრთხილებას იძლეოდენ:

— ბევრი უვარგისი ნამუშევარი გაქვთ, ბევრი გისეირნიათ. იაფი მანქანების მაგიერ ძვირად ღირებულ მანქანებს აკეთებთ. დასწიეთ ფასები, თქვენ შავ დაფაზე გამოწერა გელისთ.

**როგორც ომიანობის დროს, გაზეთები ახლა ყოველდღე ბეჭდავენ ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან მოსულ ახალ ამბებს.**

„წითელი პუტილოვეცი“ ღებულობს ტრაქტორებისათვის ჩამოსხმულ ნაწილებს ქარხანა „შრომის დროშა“-დან, ქარხანა „შრომის დროშამ“ კი უნდა მიიღოს თითბერი ქარხანა „წითელი ვიბორგელი“-დან.

ქარხანა „შრომის დროშამ“ არ მისცა „პუტილოვეცს“ ჩამოსხმული ნაწილები, იმიტომ რომ „წითელმა ვიბორგელმა“ არ გამოუგზავნა „შრომის დროშას“ თითბერი. ტრაქტორები არ არის მზად და კოლმეურნეობანი კი გაზაფხულის თესვისათვის ემზადებიან, იმათთვის საჭიროა ტრაქტორები.

სამმა ქარხანამ არცერთმა არ შეასრულა თავისი სამრეწველო-ფინანსიური გეგმა. ერთი ქარხანა მეორეზეა დამოკიდებული,—როგორც ესტაფეტში.

## ბაქოელი ბრიგადა



ბაქოს მუშებმა ბრიგადა გაგზავნეს ლენინგრადში. ბაქოელები იყვნენ „წითელი პუტილოვეცის“, „იჟორის ქარხანაში“ და „შრომის დროშის“ მუშებთან.

წერილებიც დაბეჭდეს გაზეთებში. ლენინგრადის მუშებს მიმართავდენ, აი რას წერდენ:

—ბაქოს ნავთის წარმოება ჩამორჩა, სავსებით ვერ შეასრულა თავისი სამრეწველო - ფინანსიური გეგმა, რადგანაც ლენინგრადის მუშებმა დროზე ვერ მიაწოდეს შეკვეთილი ნივთები **„აზნევტს“**.

„აზნევტის“ სასწრაფო შეკვეთა სრულიად არ სრულდება ან ძალიან იგვიანებს.

საბურღავი იარაღები, რომლებსაც თქვენგან ვღებულობთ, ცუდადაა გაკეთებული.

იჟორის ქარხანა სრულიად გამოუსადეგარ მილებს გვიგზავნის.

„წითელმა პუტილოველცმა“ არ მოგვცა მსწრაფლმჭრელი ფოლადი, ტრაქტორის სხვადასხვა ნაწილი.

ბაქოს მუშები თავს არ ზოგავენ, რომ შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა.

მაზუთი, ნავთი, ბენზინი—საჭიროა ყველა ქარხნისათვის, ორთქლმავლებისა, ტრაქტორისა და ავტომობილებისთვის.

ლენინგრადის მუშებო, დაგვეხმარეთ, რომ შევასრულოთ ჩვენი სამრეწველო-ფინანსიური გეგმა.

ბაქოელ მუშათა ბრიგადა:

ბოქუელინი, პანტელეევი, ბახლამიძე, ოლვიაკოვი, ბუდაგიანცი, თაირზადე.

**მოსკოვიდან კი დეპეშა დეპეშაზე მოდიოდა:**

— ლენინგრადო! მიიღეთ ზომები. საჭიროა მანქანები, ტრაქტორები, ძრავები, დაზგები, ჩითი და ქაღალდი. დონბასს, კუზბასს, ურალს, ბაქოს. მოგვაწოდეთ ნახშირი, ნავთი, თუჯი, რკინა, ფოლადი.



— არის, მოგაწოდებთ! — უპასუხეს ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან, მაღაროებიდან და მადნებიდან.

## ჩ ქ ა რ ა, ჩ ქ ა რ ა!

ქარხნებში და ცეხებში გაჩაღდა მუშაობა. ცეხები იწვევდენ ერთმანეთს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

**— არცერთი წუთი არ უნდა დაიკარგოს უნაყოფოდ!**

**— ერთგულად შეუდექით მუშაობას!**

ცეხებში ჩამოყალიბდა დამკვრელი ბრიგადები.

ლენინგრადში გამოწვევით 150 ახალი დამკვრელი გამოვიდა.

ქარხნებში მომუშავე ყველა კომკავშირელი და პარტიული შევიდა დამკვრელ ბრიგადებში.

ბრიგადები თვითონ მუშაობენ, რომ აჩვენონ, როგორ უნდა მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამკვრელები

**აი რა მოხდა ამ ცოტა ხნის წინად ქარხანა ,,წითელ ტრეუგოლნიკ''-ში.**

— ჩვენ დამკვრელობას ვიკისრებთ, - გამოაცხადეს კომუნისტმა პლატონიხინმა და მისმა ამხანაგმა მოისეევმა.

პლატონიხინი და მისი თანაშემწე მუშაობდენ მე-12 მანქანაზე, რომელიც პლაშჩებისთვის ქსოვილს არეზინიანებს.

მუშები ქვეშ-ქვეშ იცინოდენ და, ცოტა არ იყოს, უნდობლად უცქეროდენ დამკვრელებს.

დამკვრელებმა კი აი რა მოახერხეს: მე-16 მანქანაზე 100 მეტრ უვარგის ქსოვილს ამზადებენ, დამკვრელების მიერ გაკეთებულში კი მხოლოდ ორი მეტრი გამოდგა უვარგისი.

მე-16 მანქანამ მოამზადა 100 ფურცელი, დამკვრელების მე-12 მანქანამ კი ამ დროის განმავლობაში 110.

დამკვრელებმა მთელი მოგება თანასწორად გაიყვეს.

გავიდა რამდენიმე დღე. ახლა უკვე აღარ დასცინოდენ დამკვრელებს. მუშები თანდათან დაეწიენ მე-12 მანქანაზე მომუშავეთ.

ახლა ცეხში არცერთი მეტრი უვარგისი ქსოვილი აღარ მზადდება.

შესდგა კომუნა. მთელ მოგებას თანასწორად იყოფენ.

აი რა მოახერხეს დამკვრელმა ბრიგადებმა.

ბალტიის ქარხნის მუშებმა გადასწყვიტეს შეასრულონ თავისი სამრეწველო-ფინანსიური გეგმა.

სირცხვილია, შავ დაფაზე რომ გამოგვჭიმონ.

6 ცეხმა გამოაცხადა თავისი თავი დამკვრელებად და ქარხანაში 450 დამკვრელი ბრიგადა მუშაობს.

## პიონერები და დამკვრელი ბრიგადები

ქარხანა ,,ალორძინება''-ში ერთმა ცეხმა დამკვრელ კომუნად გამოაცხადა თავი, იქვე მეორე დამრთავთა ცეხში არ იყო არცერთი დამკვრელი. ამის შესახებ გაიგეს ქარხნის ,,ალორძინების'' პიონერებმა. აი რა სწერია პიონერების ბაზის დღიურში.

**17 იანვარი.**

„ბაზის გაფართოებული კრება იყო. ბევრი კამათის შემდეგ ყმაწვილებმა გადასწყვიტეს პირობა დაედვათ დამრთავთა ცეხთან. ავირჩიეთ დელეგატები—7 კაცი.

სასადილოდ დასვენების დროს მივედით ცეხში. ყმაწვილებმა მონახეს თავისი მშობლები.

— დედა!

— ნინა! ექსკურსიით მოხვედით?

— არა, ჩვენ ბაზის ბრიგადა ვართ. ჩვენ შენ და შენს ამხანაგებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გიწვევთ.

— რაო? წადი, უმჯობესია, შინ, ფედიას მოუარე.

ნინას გარს შემოეხვიენ მუშაქალები, ეცინებათ.

უცებ გაისმა ხმა.

— ამხანაგებო!

ყველამ მოიხედა. ლაპარაკობდა ბაზის საბჭოს თავმჯდომარე.



მან უთხრა მუშაქალებს, რისთვისაც მოვიდენ პიონერები ცეხში. ატყდა ხმაურობა, კამათი.

ბავშები ცდილობდენ დაერწმუნებიათ, დაემტკიცებინათ და დაეჯერებინათ ისინი. ბოლოს, როგორც იყო, დაითანხმეს მუშაქალები, დაჰპირდენ ხელის მოწერას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნახვამდე!

— ხვალამდე ხვალ მოვაწერთ.

**18 იანვარი**

დილის 11 საათია. საყვირი ყვირის. სადილისათვის დასვენების დროა. პიონერი ქალი გრეხოვი შეხვდა გზაში თავის ძმას, კომკავშირელს.

— ხელს მოაწერ პირობას?

— მე ხომ გითხრი, არა მეთქი! თავი დამანებე.

გრეხოვმა ჩასჭიდა ხელი ძმას სახელოში.

გრეხოვი ცდილობდა გაქცეოდა.

და ძმას გარს შემოეხვიენ პიონერები და მუშაქალები.

— აბა, გრეხოვს დამიხედეთ! მერე კიდევ კომკავშირელია.

არ მოაწერა გრეხოვმა ხელი, გამოგლიჯა ხელი დას და გაიქცა. მაგრამ ცამეტმა მუშაქალმა მიიღო პიონერების გამოწვევა, მივიდენ მაგიდასთან და რიგრიგობით წაიკითხეს.

## პ ი რ ო ბ ა.

**ჩვენ, „ა“ შეცვლის მუშაქალები, ვლებულობთ პიონერების გამოწვევას და 18 იანვრიდან ვაცხადებთ თავს დამკვრელ ბრიგადად.**

ჩვენ, მუშაქალები, პირობას ვდებთ შევასრულოთ 1929-30 წლის საწარმოო გეგმა.

შევამციროთ უვარგისი მასალის დამზადება, ყურადღებით მოვეპყროთ ნედლეულს, გავაიაფოთ სართავის თვითღირებულება 11 პროცენტით. ვეცდებით კარგად შევასწავლოთ ხელობა ჩვენს შეგირდებს.

ჩვენ, ფაბრიკა ,,ალორძინების‘‘ პიონერები, პირობას ვდებთ:

1 მაისისთვის შევასწავლოთ წერა-კითხვა 18 მუშაქალს.

მივცემთ წიგნის 7 დამტარებელს ფაბრიკის წიგნსაცავს.

მუშების ხუთ ბინაში დამდგამთ რადიომიმღებს.

ფაბრიკაში მოვაწყობთ შაბათობას.

შევაგროვებთ ძველ რკინეულობას, ქაღალდს და სხვა ნედლეულს.

საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში გავგზავნით 10 საუკეთესო პიონერს.

პირობას ხელი მოაწერეს მუშაქალებმა და პიონერებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**19 იანვარი**

ფაბრიკის ეზოში ხმაურობაა.

პიონერები მოვიდნენ. აგროვებენ ძველ რკინებს, დაჟანგულ მილებს, თუნუქებს. ვის ცოცხი უჭირავს, ვის ნიჩაბი. სწმენდენ და ალაგებენ ფაბრიკის ეზოს.

ბაზამ მოაწყო შაბათობა.

აღებული ფული მთლად გადასცეს საშეფო სოფლისათვის ტრაქტორის საყიდლად.

უკვე შევუდექით „ალორძინების“ მუშებთან ერთად დადებული პირობის შესასრულებლად მუშაობას.

**ეი როგორი დახმარება გაუწიეს ბავშვებმა ფაბრიკა ,,ალორძინებას‘‘ სამრეწველო-ფინანსიური გეგმის საქმეში.**



პიონერი წერა-კითხვას ასწავლის კოლმეურნეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გლეხები და კოლმეურნეები

(მუსიკალური ინსცენირობა)

გლეხები.
გუთანს ვათრევთ გაჭირვებით,
რვა უღელითა
კოლმეურნეები.
ჩვენ კი მოვხნავთ უსაქონლოდ,
ტრაქტორებითა!
მანქანები.
რახ-რახ-რახ-რახ!
რახ-და-რახ!
ნიადაგსა
მოვხნავთ ღრმად!

—

გლეხები.
ხორბალს ვთესავთ ნელა-ნელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ხელითა.

**კოლმეურნ.**

• ჩვენ კი სამ რიგად დავთესავთ
მანქანებითა!

**მანქან.**

ქახ ქახ-ქახ ქახ!
ში-ში-ში-ში!
თესლი გვინდა
კარგი ჯიშის!

—

**გლეხები.**

არ მოვიდა კარგი ყანა,
ყანა თხელია;

**კოლმეურ.**

აქ ზღვასავით თავთავები
ოქროს ფერია!

**მანქან.**

გა და-გა!
რა-კი-რა-კი!
ზედმეტია
ლაპარაკი!

—

**გლეხ.**

ვიწურებით ოფლში მწარედ,
ნამგლითა ვმკით ყანას.

**კოლმეურ.**

ჩვენ მოგვიმკის და ძნებადაც
შეგვიკრავს მანქანა!

**მანქან.**

რახ-რახ-რახ-რახ!
ში-ში-ში-ში!
თავთავს მოვჭრით
კოხტად, ძირში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გლეხ.**

მამაპაპური კალო
ლეწვას დააგვიანებს.

**კოლმეურ.**

ჩვენი მანქანა გალეწავს,
კიდეც გაანიავებს!

**მანქან.**

ქახ-ქახ-ქახ-ქახ!
რაგა-რაგა!
ვანიავებთ,
ვლეწავთ კარგად!

—

**გლეხ. და კოლმეურ.** (ერთად)

ძველ ნამგალსა და კალოსა
თავის დრო მოუჭამია,
ტრაქტორი გვინდა, ტრაქტორი
ჩემო ძვირფასო ძამია!

**მანქან.**

დუგ-დუგ-დუგ-დუგ!
ში-ში-ში-ში!
ჩვენც აქა ვართ,
ვდგავართ რიგში!

—

**ყველა.**

ავაშენებთ
სოფელს ახალს,
რასაც მალე
ყველა ნახავს.

მარიკა მიქელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გლეხები და კოლმეურნეები

მუსიკა პოლ. პ. ფალიაშვილის
ტექსტი გადმოკეთებულია მარიკა მიქელაძის მიერ.




გლეხები.
კოლმეურნეები.
მანქანები.
გლეხები.


კოლმეურნეები.
მანქანები.


მანქანები.
გლეხები.
კოლმეურნეები.
მანქანები.


Moderato.
გლეხები და კოლმეურნეები ერთად.
1 volta
2 volta
მანქანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## დამატება.

(მოძრაობა სიმღერასთან)

სცენაზე ბავშვების სამი ჯგუფია: მარცხენა ჯგუფი კოლმეურნეებს წარმოადგენს. მარჯვენა — გლეხებს. შუაში — „მანქანები".

### I ტაქტი.

წელში მოხრილი გლეხები — „გუთნისდედები" — მძიმედ მიაბიჯებენ და თითქოს გუთანს ეყრდნობიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეები მხიარულად უჩვენებენ „მანქანაზე“.

„მანქანები“ ხელებით ბორბლების ტრიალს გამოხატავენ.

## II ტაეპი.

გლეხებს მარცხენა ხელებით თითქოს კალთები უჭირავთ, მარჯვნით თესლს ფანტავენ.

კოლმეურნეები წინანდელ მოქმედებას იმეორებენ.

„მანქანები“ ოდნავ მოიხრებიან და თავისუფლად დაშვებულ ხელებს მწყობრად აქანავებენ მარჯვნიდან მარცხნივ.

## III ტაეპი.

დაღონებული „გლეხები“ მიწას დასცქერიან, ხელებს შლიან და თავებს იქნევენ.

„კოლმეურნეები“ ხელებს მაღლა აიშვერენ, — როგორ ღელავს და ბიბინებს ყანა.

„მანქანები“ ბორბლებს ატრიალებენ.

## IV ტაეპი.

„გლეხები“ დაიხრებიან და ნამგლით ყანის მკას წარმოადგენენ.

„კოლმეურნეები“ ერთმანეთს ხელებს მოჰკიდებენ და თითქოს შეკრულ ძნას წარმოადგენენ.

„მანქანები“ ისევ ბორბლებს ატრიალებენ.

## V ტაეპი.

„გლეხები“ კალოს წარმოადგენენ; სახრიანი „გამრეკი“ უღელ ხარს მიერეკება, „ხარები“ მძიმედ გარბიან და მხრებით ერთმანეთს ეკვრიან.

„კოლმეურნეები“ მანქანებზე უთითებენ.

„მანქანები“ მაღლა აშვერილი ხელების ქნევით ტრიალებენ.

## VI ტაეპი.

„გლეხები“ და „კოლმეურნეები“ შეერთდებიან და „მანქანებს“ დაჰფარავენ. შემდეგ მწკრივს გააბობენ და უთითებენ ამუშავებულ „ტრაქტორზე“, რომელსაც ექვსი ბავში შეადგენს*).

## VII ტაეპი.

„გლეხები“ და „კოლმეურნეები“ „ტრაქტორთან“ შემჭიდროვდებიან და „მესაჭეებთან“ ერთად მღერიან უკანასკნელ ტაეპს.

---

*) ტრაქტორის ფიგურა კეთდება ვარჯიშის მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

მთარგმნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# პატარა სანდრო.

სანდრომ გამოიღვიძა და ნელა დაიწყო ტანის ჩაცმა. ყოველ დილას უჯავრდება მას დედა.

— დააგვიანებ, სანდრო, დაუჩქარე!

მაგრამ სანდრო აუჩქარებლად იცვამს შარვალს, მოქსოვილ ხალათს. ჩულქები და ,,ყაითნიანი" ფეხსაცმელი მისთვის აუტანელია.

ჩაფიქრდება სანდრო და ყველაფერს დაივიწყებს. ამ დროს მას ჩულქი ფეხზე ნახევრად ჩაცმული აქვს.

— სანდრო, შენ ისევ აგვიანებ,—წაულაპარაკა დედამ.

შეკრთა სანდრო, ისევ სწრაფად მოძრაობს მისი პატარა ხელები.

ხშირად აგვიანებს სკოლაში სანდრო.

ორჯერ ის უკვე ჩასწერეს.

აი, მაგალითად, დღესაც... იმდენ ხანს მოუნდა ჩაცმას, რომ უკვე ცხრის ნახევარი შეიქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დაიხურა ქუდი და ჩაიცვა პალტო, მაშინ ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა.

წავიდა სანდრო სკოლაში, მაგრამ ოცი წუთის შემდეგ დაბრუნდა შინ და მოწყენილმა მიმართა დედას:

— ძალიან გვიანაა. ბავშები ახლა სკოლაში შესული არიან.

— შენც შესულიყავ და დაგეწყო მეცადინეობა.

— სირცხვილი იყო შესვლა: მე ძალიან დავაგვიანე.

— იცი, რა დღეა დღეს?

— ვიცი, კვირაა,—უპასუხა თავდახრილმა სანდრომ.

— თქვენთვის არ უთქვამთ სკოლაში კვირის მეცადინეობის შესახებ?

სანდრო შეწითლდა, უფრო დახარა თვალები და წაილაპარაკა:

— მე დამავიწყდა, რომ დღეს კვირაა, დამავიწყდა, რომ ახლა ოთხ დღეს ვმაცადინობთ, მეხუთე დღეს კი ვისვენებთ.

— რისთვის არის ეს ასე?—მიმართა დედამ.

— სკოლაში ამბობდენ, რომ ასე სულ მალე, მოკლე ხანში საბჭოთა კავშირის მუშებიააშენებენ ბევრ ქარხანას, დაამზადებენ ბევრ საქონელს და სწრაფად გარდაიქმნება ყველაფერი... კიდევ არ იქნება ჩვენში ეკლესიის კვირა და ეკლესიის დღესასწაულებიო.



— შენ კი რა ჰქენი? ახლა მასწავლებელი განაცხადებს, რომ კვირაობით ბავშები, ოქტომბრელებიც კი, არ დადიან მეცადი-ნეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო უფრო შეწითლდა და ცრემლები მოადგა თვალებზე.

— რა უნდა ვქნა ახლა?—შეეკითხა ის დედას.

— აუცილებლად უნდა წახვიდე სკოლაში.

სანდრო ცოტა შეჩერდა და ფრთხილად გავიდა გარეთ.

სადილის შემდეგ დედა შეეკითხა:

— რა გითხრეს, სანდრო, სკოლაში?

— მასწავლებელს არაფერი არ უთქვამს ჩემთვის და არც კი ჩაუწერივარ, რადგან ვუთხარი, რომ მეშინოდა შესვლა და შინ დავბრუნდი, მაგრამ როცა გამახსენდა, რომ დღეს კვირა არის და უეჭველად უნდა ვიყო სკოლაში — მე დავბრუნდი მეთქი.

— ხომ ხედავ, როგორ კარგად გამოვიდა ყველაფერი.

ამ დღიდან გავიდა თხუთმეტი დღე. სანდროს სკოლაში არ დაუგვიანებია არცერთხელ. პირიქით, ის ხშირად სხვებზე ადრე მიდის სკოლაში.



კ. ნოეშვილი.

# მწყემსი ილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მზე რომ ამოდის დილითა,
სოფელიც ახმაურდება;
არც ილას უნდა ძილი და
ხელ-პირის ბანას უნდება.
გადაივარცხნის ქოჩორსა,
ყველგან ხმალსავით იელვებს,
მისტის და მოსტის მარდადა,
საქონელს ათვალიერებს.
ხელში აიღებს სახრესა,
მინდვრად მიუდის ნახირი,
აყრუებს ხევებს, მიდამოს
მისი მედგარი ძახილი!..
პატარა ძაღლიც თანა ჰყავს,
ერთგული მეგობარია,
ნავარდობს დაუღალავად,
უყვარს მთები და ბარია.
შემდეგ ხის ძირას მიჯდება
და რას აკეთებს, იკითხავთ?
გადაშლის წიგნის ფურცლებსა,
გაკვეთილს გადაიკითხავს.

ახსოვს ილას, რომ საღამოს
სკოლაში უნდა წავიდეს
და უქმად ყოფნას სჯობია
გაკვეთილს შეისწავლიდეს.
ასეც იქცევა პატარა,
სძულს მას ძალიან ზანტობა,
შრომის და სწავლის შემდეგა
ილასაც უყვარს გართობა.



შალვა შაველაშვილი.




# ფუნიკულიორი.

— დღეს ფუნიკულიორი დავათვალიეროთ, — უთხრა მასწავლებელმა სოფლიდან საექსკურსიოდ ჩამოყვანილ მოწაფეებს.

— რა არის, მასწავლებელო, ფუ...ნი...კუ...ლი...ო...რი? — ენის ბორძიკით შეეკითხა ერთი მოწაფე.

— თვითონ ნახავთ და გაიგებთ, ჩემო კარგო!

ზოგი ამბობდა: ფუნიკულიორი კარგი ბაღია, რომელშიაც ფორთოხალი და ლიმონი ხარობსო; ზოგი ამტკიცებდა: ფუნიკულიორი მაღალი მთაა, რომელზედაც საჭაეროდ ადიანო.

ნაშუადღევს, როცა მზემ დასავლეთისაკენ გადაკიდა თავი, ექსკურსია ფუნიკულიორის გზას გაუდგა ტრამვაის ვაგონით.

ვაგონი რომ მიუახლოვდა ფუნიკულიორის ქვედა სადგურს, ბავშებმა გადახრუკულ გორას მიაპყრეს თვალი.

— ბიჭოს, ეს რა მიცოცავს კლდეზე?! — წამოიძახა ერთმა მოწაფემ.

— მიცოცავს!.. მიცოცავს!.. — ერთხმად შემოსძახეს ცქერად გადაქცეულმა ბავშებმა.

— მასწავლებელო, ესაა, ხომ, ფუნიკულიორი?

— კი, ესაა,—ღიმილით უპასუხა მასწავლებელმა.

სადგურზე რომ მივიდენ, ის იყო, ზემოდან ჩამოეშვა ვაგონი და ჩიხში გაჩერდა.

ვაგონს ხალხი მიაწყდა. ჩვენმა ექსკურსანტებმაც დაიკავეს ვაგონის წინა, ღია განყოფილება.

გაისმა ზარის წკრიალი, და ვაგონი დაიძრა, აღმა-აღმა იწყო ნელ-ნელა ასვლა.

ბავშები აჟრიამულდენ.

— აგერ ზევიდანაც მოცოცავს ვაგონი!.. დაიყვირა ერთმა ბიჭმა, როცა ქვედა ვაგონი შუა აღმართს, გზის ნახევარს, მიუახლოვდა.

— მოცოცავს!.. მოცოცავს!..—შეხმატკბილებით გაიმეორეს გამხიარულებულმა ამხანაგებმა.

როცა ვაგონებმა გზა აუქციეს ერთმანეთს, იმავე ბიჭმა აღტაცებით წამოიძახა:

—ააა!.. ახლა მივხვდი, თუ რას მიჰყავს ვაგონი!

— აბა რას? შეეკითხენ ამხანაგები.

— აი, იმ რკინის თოკს, რომელზედაც მიბმული ყოფილა ვაგონი, ხელის გაშვე-



ეროვნული ბიბლიოთეკა



რით უპასუხა გახარებულმა ბიჭმა.

— უი!.. თოკი რომ გაწყდეს, მაშინ რაღა გვეშველება! — წამოიძახა შეშინებულმა გოგონამ და მასწავლებელს მიაჩერდა.

— ნუ გეშინია, გოგონა! თოკი არ გაწყდება, მაგრამ ამაზე იქ, ზევით, ვილაპარაკოთ, — დაამშვიდა გოგონა მასწავლებელმა, რომელიც აქამდე პირდაპირ არ ერეოდა ბავშთა საუბარში და მხოლოდ თავის დაქნევით ადასტურებდა მათ სწორ შენიშვნებს.

ამასობაში ვაგონი მიადგა ზედა სადგურს. აქ ბავშების ყურადღება მიიქცია ორმა დიდმა ბორბალმა, რომელზედაც ფოლადის მსხვილი თოკი იყო გადმოტარებული.

უცბად შეწყდა ბორბლების ტრიალი, გაჩერდა ვაგონიც.

გადავიდნენ თუ არა ბავშები ვაგონიდან, ამ ბორბლებს დაუწყეს გულდაგულ დათვალიერება. როცა ვაგონი აუშვეს, ბავშებმა შენიშნეს, რომ ერთი ბორბალი წაღმა ატრიალდა, მეორე კი უკუღმა. ისიც შეამჩნიეს, რომ მეორე ჯერზე ბორბლები ერთმანეთს შეენაცვლენ წაღმა-უკუღმა ტრიალში.

მასწავლებლის თხოვნით ფუნიკულიორის გამგემ ჯერ ვაგონი და მისი ნაწილები დაათვალიერებია ბავშებს და შემდეგ სამანქანო განყოფილებაში ჩაიყვანა ისინი. აქ გასაგებად აუხსნა მათ იქ მოთავსებული ბორბლების მუშაობა და დანიშნულება, განუმარტა საზოგადოდ ფუნიკულიორის აღნაგობა და მოძრაობა.

შემდეგ მასწავლებელმა ბავშები გარეთ, ბაღში, გაიყვანა. აქ მისი ხელმძღვანელობით გაიმართა მთლიანი საუბარი.

— ჩვენ ვნახეთ, — დაიწყო ერთმა მოწაფემ, — რომ ფუნიკულიორის ვაგონები გამართულია ვიწროლიანდაგიანი რკინის გზის რელსებზე. ვნახეთ ისიც, რომ ვაგონები დაბჯენილია რელსებზე ფოლადის ორკაპი ფეხებით. გავეცანით იმასაც, რომ ვაგონები მოძრაობენ ფოლადის მსხვილი თოკის საშუალებით. ჩვენ ახლა ვიცით, რომ ის თოკი ბორბალზეა დახვეული და გადატარებული. ვიცით ისიც, რომ ამ თოკის ბოლოებზე თითო ვაგონია მიმაგრებული.

— როცა ხალხი ჩასხდება ზედა ვაგონში, მაშინ მოძრაობის მოწესრიგე ტელეფონით აცნობებს ქვედა სადგურს, — ჩამოართვა პირველ მოსაუბრეს მეორემ.

— პასუხის მიღებისთანავე გაისმის ზარის წკრიალი, ამუშავდება ბორბლები, და ვაგონებიც ამოძრავდება: ზევიდან ქვევით დაეშვება, ქვემოდან კი აღმართს შემოუდგება.

— შუა გზაზე, როგორც ვნახეთ, გვერდის ასაქცევია გამართული — შეენაცვლა მეორე. — აქ ერთ წუთას ორივე ვაგონი ერთიმეორეს უსწორდება. ამ დროს თოკის ორივე ბოლო ტოლადაა გადმოშვებული ზედა სადგურიდან. მაგრამ რაწამს ერთმანეთს შეუვლიან ვაგონები, დაღმა მიმავალი ვაგონის თოკი თანდათან გრძელდება, აღმა მიმავალის კი იმდენადვე მოკლდება.

— აი, მიუხლოვდა ვაგონი ზედა სადგურს, — განაგრძო საუბარი მეოთხე ამხანაგმა, — მოისმა ბორბლების გრიალი. ავიდა ვაგონი, მიადგა ჩიხს, შეწყდა ბორბლების ტრიალი, გაჩერდა ვაგონიც. ამავე წუთას ქვედა სადგურზედაც ჩავიდა მეორე ვაგონი. ახლა ფოლადის თოკი მთელი თავისი სიგრძითაა გაჭიმული ამ ორ სადგურს შორის.

— ის ორი გარე ბორბალი მიმართულებას აძლევს ვაგონებს, — ჩაერია საუბარში მეხუთე მოწაფე. — დაღმა მოტრიალე ბორბალი აწესრიგებს თავქვე მიმავალი ვაგონის მოძრაობას, აღმა მოტრიალე კი ემსახურება ზევითკენ მომავალ ვაგონს.

— განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სამანქანო განყოფილებაში მთავარი ბორბალი, მომუშავე ღერძი, — დაეხმარა მეხუთე მოწაფეს მეექვსე. — ამ ბორბალზე სამ-ოთხფად დახვეულია ფოლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დის თოკი, რომელიც იქიდან გადატარებულია დამხმარე ბორბლებზე. ეს ბორბალი მთელი მოძრაობის ბურჯია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ფუნიკულიორის სული და გული ელექტრობაა, რომელიც ბორბლებს ატრიალებს.

— ბოლოს არ უნდა დავივიწყოთ ისიც,—დაუმატა მეშვიდე ამხანაგმა, რომ როგორც ვაგონების მოძრაობას, ისე ბორბლების მუშაობას თავის ნებაზე აწარმოებს ადამიანი, რომელსაც საამისო ცოდნა აქვს.

— დასასრულ ისიც უნდა ვთქვათ,—დააბოლოვა საუბარი მერვე მოწაფემ,—რომ ფუნიკულიორზე მგზავრობა უზრუნველყოფილია უბედური შემთხვევისაგან. ერთი შეხედვით საფიქრელია, რომ შეიძლება თოკი გაწყდეს, ვაგონი თავქვე დაექანოს და ხალხი დაიღუპოს. მაგრამ, ჯერ ერთი, ფოლადის თოკი, როგორც მაგარი და გამძლე, მოულოდნელად არ გაწყდება. მეორე,—რომც გაწყდეს, უბედური შემთხვევა მაინც არ მოხდება. ვაგონის ორკაპ ფეხებს, რომლებითაც ვაგონი რელსებზეა დაბჯენილი, თურმე ისეთი თვისება აქვს, თოკის გაწყვეტის შემთხვევაში ელვის სისწრაფით მოიმუწება, კაპებს შეკრავს, რელსებს მაგრად მოეჭიდება, ვაგონს დაამუხრუჭებს, იქვე შეაჩერებს, გასაქანს არ მისცემს.

კმაყოფილმა მასწავლებელმა ღიმილით ხელი გაიქნია. გახარებული ექსკურსანტები გორაკს მოედვენ.

ზღვისპირელი.



# „სასწრაფო დახმარება“

კონდუქტორმა ჩამოჰკრა ზარს, და ტრამვაი დაიძრა. გოგიც ამას ელოდა: გამოეკიდა ტრამვაის, მოჰკიდა ხელი უკან მიმაგრებულ ელექტრობის სანათურს, ახტა უნდოდა ჯახამრიდზე შეჯდომა, მაგრამ ხელი დაუცდა და ძირს დაეცა.



გოგიმ გაიგო რაღაც ტკაცუნი და მარჯვენა ხელ-ფეხის საშინელი ტკივილი იგრძნო.

სცადა ადგომა, მაგრამ ფეხი არ ემორჩილებოდა და ღონემიხდილი გულაღმა დაეცა.

გარს ხალხი შემოეხვია. ვიღაცა დაიღუნა და იჭერდა გოგის, რომ არ ამდგარიყო.

— ეჰ, ძმობილო, ტყუილ-უბრალოდ დაიმახინჯე თავი! იწექი, იწექი! ახლავე საავადმყოფოში წაგიყვანენ და იქ გიწამლებენ...

— ამხანაგო მილიციონერო, გამოიწვიე „სასწრაფო დახმარება!“

მილიციონერს თანა აქვს ყურსასმენის მილი. შეუერთა იქვე ბოძზე გამართულ შტეფსელს და უთხრა ცენტრალურ სადგურს:

— ალლო! სასწრაფო დახმარება!



—

სასწრაფო დახმარების სადგური მოთავსებულია ელბაქიძის აღმართზე, პატარა თეთრ შენობაში.

რეკავს ელსმენი. მორიგე ექიმი იღებს ელსმენს:

— გისმენსთ სასწრაფო დახმარება!

და ესმის პასუხი:

— ბავში ჩამოვარდა ტრამვაიდან... იღრძო ხელი და ფეხი... პლეხანოვის გამზირის და ქორესის ქუჩის კუთხეზე. გელაპარაკებათ მილიციონერი ნომერი ოცდაცხრამეტი.

— მოვდივართ,— უპასუხებს მორიგე ექიმი და თან რეკავს ზარს. ეს ზარი ამცნობს უბედურ შემთხვევას მოფერს და სათნოების ორ ძმას, რომლებიც მუდამ მზად არიან მეზობელ სამორიგეო ოთახში.



—

დაუფასებელ საქმეს აკეთებს „სასწრაფო დახმარება“ უბედურ შემთხვევაში დახმარების აღმოჩენით!

ხშირად გინახავთ—ალბათ, როგორ მიქრის ქუჩებში სასწრაფო დახმარების ავტომობილი. მისი გამოწვევა შეიძლება ტელეფონით ყოველთვის, დღისითაც და ღამითაც. მაგრამ ტფილისი დიდი ქალაქია და უბედური შემთხვევებიც ხშირია. ამიტომ უნდა იცოდეთ, რომ სასწრაფო დახმარების ავტომობილის გამოწვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მართლაც სასწრაფოა ექიმის დახმარება.

„სასწრაფო დახმარების“ სადგურს ერთი მოტოციკლეტი აქვს იმ შემთხვევისათვის, როდესაც უბედური შემთხვევა სახლში მოხდება და სასწრაფო დახმარების აღმოჩენაც სახლშივე შეიძლება.

—

გოგი წევს ქვაფენილზე, გარშემო ხალხი არტყია. სტკივა... კვნესის... მას ეჩვენება, თითქოს ძალიან დიდი ხანია, რაც აქ აგდია...

მართლა კი სულ ორ-სამ წამს არ გაუვლია.

გაისმა ავტომობილის სირენის ზუზუნი, ხალხი მიიწ-მოიწია და ქვაფენილზე დაწოლილ ბავშს მიუახლოვდა „სასწრაფო დახმარების“ თეთრი ავტომობილი.

ექიმი საჩქაროდ სინჯავს გოგის, სათნოების ძმები აწვენენ მას საკაცეზე და შეაცურებენ საკაცეს ავტომობილში. ყველაფერი მზადაა.




ისმის ისევ სირენა, და ავტომობილი მიქრის საავადმყოფოში.



# სხვადასხვა ამბავი



## ხარკოვის სკოლების დადგენილება

(მისაბაძი მაგალითი)

„ახალ ქვეყანას ავაშენებთ“

გასული წლის 8 დეკემბერს შეიკრიბნენ ხარკოვის სამი შრომის სკოლის მოწაფეები კლუბში და შეჯიბრება გამოაცხადეს:

1. ერთსა და იმავე ჯგუფში არავინ დარჩეს, 2. გაკვეთილებს არავინ დააკლდეს, 3. შეიძინონ ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხი კოლექტიურად, გაიღონ თითო მანეთი, 4. გამოიწერონ ყოველ 2 კაცზე თითო ჟურნალი მაინც, 5. დაიხსომონ და შეასრულონ სხვა სკოლის მოწაფეებთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების პირობები, 6. დამოკიდებულება იქონიონ სოფლის ბავშვებთან და შეაგროვონ მათთვის წიგნები და რვეულები, დროდადრო იარონ მათთან სოფლებში, გამოიღოს თითო მოწაფემ აეროპლანისათვის 3 კაპეიკი, 7. შეაგროვონ ძველი ქაღალდი, თითომ არა ნაკლებ 10 კილოსი და შუშის 4-4 ბოთლი, თითო ტომარა, ძველი რკინები და ძველი ფეხსაცმელი.

ქიანჭველებივით დავფუსფუსებდით მთელი დღე და ვაგროვებდით ყოველგვარ ნედლეულს. ბოლოს, რომ მოგვესპო 25 დეკემბრის — შობის -- დღესასწაული, ჩვენ 25-26 დეკემბერს ვსწავლობდით, 28 დეკემბერს კი, სწავლის გათავების შემდეგ, შევიკრიბეთ მთელი სკოლის მოწაფეები და დავადგინეთ: 1. დავხუროთ ეკლესიები და მოვაწყოთ შიგ კლუბები, 2. დავახურვინოთ მუშების უბნებში არაყისა და ლუდის სავაჭრო დუქნები, 3. მოვაწყოთ რაც შეიძლება ჩქარა ქოხ-სამკითხველოები სოფლად, რომ წერა-კითხვის უცოდინარს შევასწავლოთ წერა-კითხვა და ქუჩას გამოვტაცოთ უპატრონო ბავშვები, სკოლის ეზოში მოვაწყოთ სხვადასხვა სათამაშო-სავარჯიშო, რომ ჰაერზე გავჯანსაღდეთ და საღი შეცვლა გავხდეთ.

ჩვენ, ხარკოვის სკოლის ბავშვები, ვცდილობთ დავეხმაროთ მშრომელებს ჩვენი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

ვიტია მერკელი.








ფოსტა-ტელეგრაფის საკავშირო სახალხო კომისარიატმა გამოუშვა ფოსტის ახალი მარკები, ცხენოსანთა პირველი არმიის დაარსებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავი განსაკუთრებული მარკები.

აი ასეთები, რომლის სურათებსაც აქ ვათავსებთ.

## საბავშვო უნივერსიტეტი.

მოსკოვში 1 იანვრიდან გაიხსნა საბავშვო უნივერსიტეტი.

მშრომელთა ბავშვებს, რომელნიც რაიმე მიზეზით არ მოხვდენ სკოლაში, შეუძლიათ ჩაეწერონ ამ უნივერსიტეტში და დარჩენ თავიანთ სახლში.

უნივერსიტეტი მიწერ-მოწერის საშუალებით აწარმოებს მეცადინეობას. უნივერსიტეტში 4 განყოფილებაა: საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო, საამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და ბავშთა აქტივის მოსამზადებელი.

## ტრამვაი ბიბლიოთეკა

მოსკოვში განზრახულია გამოჰყონ ტრამვაის ერთი ვაგონი, რომელშიაც მოწყობილი იქნება მოძრავი ბიბლიოთეკა.

ამ ვაგონმა უნდა ჩამოიაროს ქარხნები და ფაბრიკები მუშაობის გათავებისას და მიაწოდოს წიგნები მსურველებს. სარატოვში ამნაირად მოწყობილია ტრამვაის ვაგონი.

## ეტლი-დუქანი

მოსკოვში მოსკოვის კოოპერატივმა მოაწყო ეტლი-დუქანი, რომელიც ქალაქის განაპირა რაიონებს, სადაც ცოტა კოოპერატიუ-



ლი დუქნებია, უწევს სამსახურს. ამ ეტლით ატარებენ სხვადასხვა სანოვაგეს და აწოდებენ მცხოვრებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სამთავისის კომუნის სახლი

# კოლექტივი

ოქტომბრელნი — მიხო, დიტო,
შალვა, ზაქრო, ვახტანგ, გივი —
შეიკრიბენ ერთად მიტომ,
რომ მოაწყონ კოლექტივი.
კარვახანს რომ ითათბირეს,



დაადგინა ერთხმად ყველამ:
პირით მზისკენ, წყაროს პირას,
სადაც ველი მწვანედ ღელავს.
იქ ბაღნარი გავაშენოთ
და შევამკოთ ბოსტნეულით.
ნორჩ ხეებით დავამშვენოთ
გარეშემო შემორგულით.
ყველა ჩვენგანს დაევალოს
თითო საქმე აირჩიოს, —
ზოგმა ბაროს, ზოგმა კვალოს,
ზოგმაც თესლი გაარჩიოს.
შემდეგ ვისაც რა გვიყვარდეს
დავთესოთ და მოვიყვანოთ,
რომ ამითი ჩვენთან ერთად
სხვასაც შრომა შევაყვაროთ.

ზაქრო ხარშილაძე.

## ია

ბუჩქის ძირას ამოვიდა პაწაწინა ია,
მიიხედა, მოიხედა, გაუღიმა ველსა,
ნაკადულსაც გაუღიმა,
მოეხვია ყელსა.

თერი ლომაური (III ჯგ. 8 წ. მოწ.).

## მტკვარი

მოდის, მოდის, მოდუდუნებს
მუდამ დინჯი მტკვარი
და თან მოაქვს, რაც შეხვდება,
ხე არის თუ კვარი.
ჩამოუვლის შუა ქალაქს
თავის სიმღერითა,
ახალ ამბებს მოგვიყვება
მუდამ დინჯი ხმითა.

ახმათ კაპანაძე (8 წლის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ დავამზადეთ საპასუხო წერილი ქ. ახალსენაკში პედტექნიკუმის საცდელი სკოლის მე-2 ჯგუფის მოსწავლეთათვის შემდეგი შინაარსის:

## სალამი უცნობ ამხანაგებს!

თქვენმა წერილმა ჩვენში ალტაცება გამოიწვია. ჩვენ მზად ვართ მუდამ გიპასუხოთ ყოველ შეკითხვაზე, როგორც ახლა, ისე მომავალში.

ჩვენს ჯგუფში 34 მოსწავლე ირიცხება 16 ქალი და 18 ვაჟი. ახლა ვამუშავებთ საკითხს: „საგაზაფხულო მუშაობანი", რაც შეიძლება, მონაწილეობას ვიღებთ მუშაობაში. გვაქვს საskolo ბოსტანი, ვაკვირდებოდით თესლების აღმოცენებას.

მოვაწყვეთ ცოცხალი კუთხე, სადაც, სხვათა შორის, გვყავს კრუხი კვერცხებზე, რომელიც ერთ კვირაში გამოჩეკს წიწილებს. ცოცხალ კუთხეს ბუნებისმოყვარულთა წრე უვლის. ჯგუფში არსებობს სხვა წრეებიც: სისუფთავის დამცველი, სამხატვრო, სამეურნეო და სალიტერატურო. ვწერთ წერილებს ოთხწლედის საერთო კედლის გაზეთში.

1 და 2 მაისის დღესასწაულის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მივიღეთ. ჯგუფიდან გამოვყავით ორი მოსწავლე, რომლებმაც ბაზრობის დღეს მოაგროვეს ფული უპატრონო ბავშების სასარგებლოდ.

წლის განმავლობაში სისტემატიურად ვაწარმოებდით ამინდის კალენდარს. მუშაობის დროს ბევრი ხელშემშლელი პირობა გადავლახეთ.

დაიმედებული ვართ, მომავალშიც გვექნება მიწერ-მოწერა.

მარტვილის X წლ. მე-2 ჯგუფის მოსწავლენი.

**რედაქტორი სარედაქციო კოლეგია.**

შეკვ. № 1791. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 3-ე სტამბა. მთავ. 917. ტირაჟი 2000.



1930 წ.

„ოქტომბრელის"

წლიურ ხელისმომწერლებს უფასოდ დამატებად ეძლევა:

1. „გულწითელა" (ფერადსურათებიანი წიგნი)

2. ვინც ხუთ ცალ „ოქტომბრელს" გამოიწერს მთელი წლით—მეექვსე ცალი „ოქტომბრელი"



